ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №23

9 აგვისტო 2022 წ.
12:00 სთ

ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

მოწვეული სტუმრები:
საფინანსო საქალაქო სამსახური-გაიოზ თალაკვაძე, ლევან მიქავა
სსიპ ქონების მართვის სააგენტო- ირაკლი თავართქილაძე
ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური- დავით ჯაიანი

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე
კომისიის წევრები- გიორგი ტყემალაძე, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, გურამი ოქროპირიძე, ირაკლი ნადირაძე, საბა ბუაძე, აკაკი ალადაშვილი, დავით ფარცვანია, ნინო წულაძე.
სხდომა თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.
სხდომა უფლებამოსილია.
სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა დღის წესრიგი.
დღის წესრიგი:
1. ინფორმაცია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების შესახებ. №12-032210480-03 29.07.2022წ
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ. (საკრებულოს #11-01222203275, #11-0122201623 8.08.2022წ)
3 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) შორის „მდგრადი ურბანული მობილობა საქართველოში" პროექტის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ
4. „ქალაქ თბილისში ბერიგაბრიელ სალოსის გამზირზე,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 767 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.457) და 450 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.459) მიწის ნაკვეთების და ქ. თბილისში, ოქროყანას დასახლებაში არსებული 434 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.06.012.159) „მორიგების დამტკიცებისა და საქმის წარმოების შესახებ" თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 8 ივნისისN2ბ/348-22 განჩინებით დამტკიცებული მორიგების აქტის ნაწილობრივ აღსრულების მიზნით პრივატიზების თაობაზე" საკითხის შეთანხმების შესახებ. №12-0322189124-03 9.07.2022
5. „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, III და IV მიკრორაიონებს შორის N01.10.07.007.104 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 19000 კვ. მ ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არომასთვის" (ს/ნ:245599990), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ". №12-032220249-03 21.07.2022
6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კვგ ჯგუფს" (ს/ნ6454409907) შორის, 2020 წლის 6 იანვარს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-499-5-24641 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის ნაწილობრივ გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე. №12-03220255-03 22.07.2022
7. „თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 ოქტომბრის N3/2418-18 გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით განსახორციელებელ რიგ ღონისძიებათა თაობაზე"

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 6 ივლისის N22.1027.1125 განკარგულების ფარგლებში გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე. №12-03222151-03 4.08.2022

8. ქ. თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე, დ. აღმაშენებლის გამზ. N86-90-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 634 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ტერიტორიიდან (ს/კ: 01.16.05.002.035) 16 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ტამტამისთვის" (ს/ნ: 406348590) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. №12-03222153-03 3.08.2022

9. ქ. თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე, დ. აღმაშენებლის გამზ. N86-90-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 634 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ტერიტორიიდან (ს/კ: 01.16.05.002.035) 9 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბ&რ ჯორჯიასთვის" (ს/ნ: 402179771) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. №12-032220254-03 21.07.2022

10. ქ. თბილისში, მედეა ჯუღელის ქ. N10-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (ს/კ: 01.15.03.010.218; 01.15.03.010.219) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერისთვის" (ს/ნ: 203826002) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

11. ქ. თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N89-ში მდებარე სპორტული მოედნის მიმდებარედ არსებული 1095 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.11.05.027.008) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. №16-032221532-03 3.08.2022წ

12. ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.020.01.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " №12-032220247-03 21.07.2022

13. ქ. თბილისში, დიღმის მასივში, III კვარტალში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: 01.13.03.038.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე №12-03222161-03 4.08.2022

14. ქალაქ თბილისში, ჰოსპიტლის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. №12-032220247-03 21.07.2022

15. ქალაქ თბილისში, ჰოსპიტლის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. №12-032221473-03 3.08.2022

16. ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N61-ში მდებარე 120.15 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.047.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. №12-032221473-03 3.08.2022

17. ქალაქ თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა N29-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.003.034) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. №12-032221473-03 3.08.2022

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: ინფორმაცია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების შესახებ.

მომხსენებელი - გაიოზ თალაკვაძე.

გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ 2022 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების კვარტალური მიმოხილვა მომზადებულია მერიის სტრუქტურული ერთეულებიდან, რაიონის გამგეობებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან. ასევე, ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერის,

სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 6 თვის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 782,519.3 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 715,834.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის 91.5%.

შემოსავლები

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) 6 თვის გეგმა 743,364.3 ათასი ლარი, ფაქტიურად 692,209.4 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 93.1% და მთლიანი - შემოსულობების 96.7% შეადგინა.

გადასახადების სახით ბიუჯეტში მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მობილიზებულია 485,163.3 ათასი ლარი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 409,706.0 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 75,457.3 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, მათ შორის: დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 278,894.2 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 238,468.0 ათასი ლარი) შედარებით 40,426.2 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 206,269.1 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 203,419.8 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) – 629.5 ათასი ლარი, ხოლო მიწის გადასახადიდან - 2,219.8 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი – 171,238.0 ათასი ლარი) შედარებით 35,031.1 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად საწარმოთა ქონების გადასახადზე (გარდა მიწისა) მოდის (2021 წლის 6 თვის ფაქტი - 168,931.4 ათასი ლარი).

გრანტები საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 100,305.2 ათასი ლარი, მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 9.5 ლარი, ხოლო სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები - 100,295.7 ათასი ლარი, კერძოდ: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 252.6 ათასი ლარი (გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის), გრანტები თვითმმართველი ერთეულის სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ებ)-დან - 1,017.6 ათასი ლარი (სსიპ ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (ს/ნ205298211) მიერ სახაზინო ანგარიშებზე არსებული თავისუფალი ნაშთის და მიმდინარე წელს მიღებული შემოსავლის (სს „არდი დაზღვევას" მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ჩარიცხული თანხები) ბიუჯეტის ანგარიშზე ჩარიცხული თანხა), სპეციალური ტრანსფერი (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი) – 98,874.1 ათასი ლარი (თბილისის მასშტაბით არსებულ ქუჩებზე გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები, რკ/ბეტონის და გაბიონის საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები, წყალსადენის, სანიაღვრე/სადრენაჟე და საკანალიზაციო ქსელის მოწყობის და აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები; ავტობუსების შეძენა, მეტროსადგურ „ვარკეთილის" რეკონსტრუქციის და კაპიტალური რემონტის სამუშაოები, შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება; ვაკის პარკის რეაბილიტაციის და ზღვის უბნის (დენდროლოგიური) პარკის მოწყობის სამუშაოები; ბაგა-ბაღების და სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოები; ისტორიულ-კულტურული ძეგლების და სხვა შენობების, ისტორიული სადარბაზოების და მუზეუმების რეაბილიტაციის სამუშაოები, პროექტ „ახალი ტფილისის" ფარგლებში გრძელდება ლადო გუდიაშვილის მოედანზე არსებული საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოები), ხოლო სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 151.4 ათასი ლარი („საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის" განხორციელების პროცესში კონსულტანტთა შრომის ანაზღაურების, საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების, მიმდინარე პროექტების აუდიტორული შემოწმების და კონტრაქტორებისთვის შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების მიზნით, ადგილობრივი გადასახადების დასაფინანსებლად (მათ შორის საპენსიო შენატანი).

სხვა შემოსავლები

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 122,786.1 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 106,740.9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 86.9%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან

(ფაქტი – 74,363.3 ათასი ლარი) შედარებით 32,377.6 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად სათამაშო ბიზნესის და დასახლებული ტეროტორიის დასუფთავების მოსაკრებელზე მოდის. მათ შორის:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 3,700.5 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (3,184.2 ათასი ლარი) შედარებით 516.3 ათასი ლარით მეტია.

რენტის სახით მობილიზებულია 2,719.2 ათასი ლარი, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 1,873.7 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 845.4 ათასი ლარი.

ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 61,675.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (61,166.7ათასი ლარი) 100.8%-ია. მათ შორის: სანებართვო მოსაკრებლიდან მთლიანობაში მიღებულია 6,946.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (5,300.0 ათასი ლარი) 131.1%-ია. მათ შორის: მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე - 6,214.5 ათასი ლარი, მოსაკრებელი საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვაზე - 732.0 ათასი ლარი. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლიდან მიღებულია 1.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (1.7 ათასი ლარი) 73.7%-ია.

სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლიდან მიღებულია 18.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (15.0 ათასი ლარი) 125.3%-ია.

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 22,841.4 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (12,494.3 ათასი ლარი) შედარებით 10,347.1 ათასი ლარით მეტია. მიმდინარე პერიოდში ობიექტების მიხედვით მიღებული თანხები შემდეგნაირად განაწილდა: სათამაშო აპარატებიდან ბიუჯეტში მიღებულია 13,064.0 ათასი ლარი (57%), წამახალისებელი გათამაშებიდან - 2,609.7 ათასი ლარი (11%), ხოლო სხვა სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელიდან - 7,167.8 ათასი ლარი (31%):

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 31,059.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 30,000.0 ათასი ლარის 103.5%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (19,276.5 ათასი ლარი) შედარებით 11,782.9 ათასი ლარით მეტია.

მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მიღებულია 751.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (750.0 ათასი ლარი) 100.1%-ია.

სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებლიდან მიღებულია 57.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (100.0 ათასი ლარი) 57.2%-ია.

მომსახურების გაწევიდან მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 565.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (475.0 ათასი ლარი) 119.1%-ია. მათ შორის: შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 557.7 ათასი ლარი, შემოსავალი მანქანადანადგარებისა და მოწყობილობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 0.2 ათასი ლარი, შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სახელმწიფო ქონების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 0.1 ათასი ლარი და შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან - 7.5 ათასი ლარი.

სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 33,926.9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (24,000.0 ათასი ლარი) 141.4%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (24,099.1 ათასი ლარი) შედარებით 9,827.8 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის 22,582.1 ათასი ლარი, დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევის გამო - 2,000.7 ათასი ლარი, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 2,522.2 ათასი ლარი, დასუფთავების წესების დარღვევის გამო - 230.0 ათასი ლარი, საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების დარღვევით ან შესაბამისი ნებართვის გარეშე განხორციელებისათვის - 1,400.9 ათასი ლარი, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისთვის განკუთვნილ სპეციალურ ზოლში (BUS LINE) სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების გარდა სხვა სახის სატრანსპორტო

საშუალებების მოძრაობის, გაჩერების ან დგომისათვის - 1,077.4 ათასი ლარი, ავტომობილის გაჩერების წესების გათვალისწინებული მოთხოვნების დაუცველობისათვის - 592.3 ათასი ლარი, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობის წესების დარღვევის გამო - 498.0 ათასი ლარი, უბილეთო მგზავრობის გამო - 707.5 ათასი ლარი, სხვა ჯარიმები - 2,315.8 ათასი ლარი.

ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 4,153.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (33,980.8 ათასი ლარი) 12.2%-ია. მათ შორის: შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე - 112.5 ათასი ლარი, წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 2,845.2 ათასი ლარი, შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან - 903.2 ათასი ლარი, შემოსავალი მწვანე ნარგავის აღდგენითი ღირებულებიდან - 51.9 ათასი ლარი, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები – 238.9 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 23,553.4 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 6,551.5 ათასი ლარი (მათ შორის: საცხოვრებელი შენობები - 4,216.7 ათასი ლარი, არასაცხოვრებელი შენობები - 2,334.9 ათასი ლარი), მატერიალური მარაგების გაყიდვიდან - 34.5 ათასი ლარი და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 16,967.4 ათასი ლარი.

ფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულია 67.1 ათასი ლარი, მათ შორის: 65.4 ათასი ლარი ასახულია ვალუტა და დეპოზიტების სახით (მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სესხის უზრუნველყოფის მიზნით წინა წლებში დეპოზიტზე განთავსებული თანხის დაბრუნება), ხოლო სხვა დებიტორული დავალიანების სახით - 1.7 ათასი ლარი.

ბიუჯეტის გადასახდელები

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 781,691.4 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 633,558.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 81%-ია. მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 607,178.2 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 525,558.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 86.6%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 83%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 166,690.6 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 100,872.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 60.5%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 16%-ია. ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 7,822.6 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 7,127.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 91.1%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 1%-ია.

2022 წლის 6 თვეში წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისათვის გამოყოფილი იქნა 906.5 ათასი ლარი, ხოლო გამოყოფილი ასიგნებების ათვისებამ შეადგინა 709.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 78.2%-ია. მათ შორის:

სასამართლოს პროცესის ხარჯების დასაფარად, იურიდიული მომსახურება და სხვა გადახდილი თანხა - 16.8 ათასი ლარი; სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება - 692.5 ათასი ლარი

სესხების მომსახურება და დაფარვა სესხების მომსახურებისა და დაფარვისათვის საანგარიშო პერიოდში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 9,232.9 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (11,353.9 ათასი ლარი) 81.3%-ია. აქედან, ვალების მომსახურებისათვის (პროცენტების გადახდა) გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 2,105.0 ათასი ლარი, ხოლო ვალების დაფარვისათვის - 7,127.9 ათასი ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული პრიორიტეტები:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 183,482.0 ათასი ლარით, რაც გეგმის (205,257.8 ათასი ლარი) 89.4%-ია;

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 92,388.9 ათასი ლარით, რაც გეგმის (134,048.9 ათასი ლარი) 68.9%-ია;

ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 78,281.6 ათასი ლარით, რაც გეგმის (105,834.1 ათასი ლარი) 74%-ია;
ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 9,995.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (11,099.8 ათასი ლარი) 90.1%-ია;
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 15,008.6 ათასი ლარით, რაც გეგმის (15,128.3 ათასი ლარი) 99.2%-ია;
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 83,121.4 ათასი ლარით, რაც გეგმის (89,266.7 ათასი ლარი) 93.1%-ია;
განათლება - 100,438.6 ათასი ლარით, რაც გეგმის (123,598.5 ათასი ლარი) 81.3%ია; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 18,306.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (30,927.0 ათასი ლარი) 59.2%-ია;
საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 2,375.9 ათასი ლარით, რაც გეგმის (3,025.0 ათასი ლარი) 78.5%-ია;
ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 50,159.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (63,505.4 ათასი ლარი) 79%-ია.

ქონების მართვის და საფინანსი საბიუჯეტო კომისიის წევრებმა ცნობად მიიღეს ინფორმაცია- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების შესახებ.
მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.
კვარტალური ცვლილებები კომისიის წევრებს წარუდგინა ლევან მიქავამ.
შპს „თბილსერვის ჯგუფის" და კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წერილობითი მოთხოვნით, ხდება მათთვის მიკუთვნებულ პროგრამებში კვარტალური ცვლილება.
კერძოდ: „ კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობის" პროგრამაში (პროგრამული კოდი 08 05) მესამე კვარტლის გეგმა იზრდება 250 000 ლარით, თანხის გადმოტანა ხდება მეოთხე კვარტლიდან, დაბალანსება „სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის" პროგრამის (პროგრამული კოდი 08 02) მესამე კვარტლის შესაბამისად შემცირებით.
„დასუფთავების ღონისძიებები"(პროგრამული კოდი 03 02) მესამე კვარტალი სუბსიდიის მუხლი იზრდება 11 000 000 ლარით, მეოთხე კვარტლის შესამისად შემცირების ხარჯზე, ხოლო ბალანსდება ნაშთის ცვლილებით.
მომხრე- 10. ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:
„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა** საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართის შსაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების კვრატალური გადანაწილების ცვლილებას.
მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) შორის „მდგრადი ურბანული მობილობა საქართველოში" პროექტის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ
მომხსენებელი- დავით ჯაიანი
დავით ჯაიანის მოხსენებით, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, საქართველოსა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KFW) შორის, ,,მდგრადი ურბანული მობილობა საქართველოში" პროექტის ფარგლებში, დაგეგმილია 47, 000, 000 ევროს ოდენობის სესხის და 1,500,000 ევროს ოდენობის გრანტის შეთანხმებაზე ხელმოწერა, რომელიც მიზნად ისახავს თბილისში გონიერი სატრანსპორტო სისტემისა (ITS) და მდგრადი სატრანსპორტო და ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარებას, ხოლო გრანტის სახსრებით, შესაბამისი კომპეტენციის მქონე ექსპერტ-კონსულტანტთა ჯგუფის მიერ წინამდებარე პროექტის განხორციელების ტექნიკურ მხარდაჭერას.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტის თანახმად, თბილისის მუნიციპალიტეტი სასესხო შეთანხმებით გათვალისწინებულ 47,000,000 ევროს მიიღებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შემდგომში გასაფორმებელი ქვესასესხო ხელშეკრულების, ხოლო 1,500,000 ევროს გრანტს - პროექტის აღსრულების უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე. წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის თანახმად: სესხით დაფინანსებული იქნება შემდეგი ინფრასტრუქტურული ღონისძიებები:

1. საგზაო მოძრაობის მართვის ინტელექტუალური სისტემა (ITS): - მართვის ცენტრის დანერგვა, მონაცემთა პლატფორმის, ქუჩის სენსორების და სიგნალების გადაცემის ტექნოლოგიის ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ძირითად ელემენტს ურბანული საგზაო მოძრაობისა და პარკირების სივრცეების კლიმატ-მგრძნობიარე რეალურ დროში მონიტორინგისა და მართვისთვის.

2. ეკომობილობის ქსელების ცვლილება და გაფართოება, ასევე „მწვანე ურბანული დიზაინისა და მობილობის" კორიდორების პროექტირება და განხორციელება: - ავტობუსების სატრანსპორტო შესაძლებლობების რენტაბელური გაფართოება და ოპტიმიზაცია ენერგოეფექტური გადაწყვეტების დანერგვით „ავტობუსების სწრაფი ტრანზიტის (BRT) (ასევე სახელწოდებით თბილისის საავტობუსო ტრანზიტი" (TBT)) ჩათვლით, კერძოდ, ცალკეული ავტობუსების ხაზები (აგრეთვე წოდებული თბილისის ავტობუსების ტრანსპორტი, TBT) და სატრანსპორტო საშუალებების არსებული რეჟიმების ინტეგრაციით (კერძო მინიავტობუსები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ტაქსი, ველოსიპედით სასეირნო და ქვეითთა მოძრაობის ადგილები). - ველოსიპედით სეირნობისა და ქვეითთა მოძრაობის ქსელების შეცვლის და გაფართოების პრიორიტეტული ღონისძიებები, სადაც შესაძლებელი იქნება ქუჩის ინტეგრირებული დიზაინის (მწვანე კორიდორის) ნაწილის სახით. გრანტიდან დაფინანსებული იქნება შემდეგი თანმხლები ღონისძიება (AM): 1. საკონსულტაციო მომსახურებები პროექტის განმახორციელებელი სააგენტოსა (PEA) და ასევე თბილისის სატრანსპორტო კომპანიისთვის დახმარების გასაწევად, საინვესტიციო ღონისძიებების განხორციელებასა და მუშაობაში, რომლებიც ორიენტირებულნი არიან შესყიდვის მომსახურებებზე შესაძლებლობების განვითარების შემდეგ სფეროებში: - ადმინისტრირება და ინსტიტუციონალური მართვა; - ტარიფიკაცია, ფინანსური დაგეგმარება და ბუღალტრული აღრიცხვა; - ადამიანური რესურსების მართვა; - მდგრადი ტექნიკური მუშაობა; - სოციალური და გარემოსდაცვითი მართვა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ჩათვლით; - საზოგადოებრივი ურთიერთობები/კომუნიკაცია და დაინტერესებულ პირთა/აქციონერთა ჩართულობა; - აქციონერთა/საზოგადოებრივი ჩართულობა და მონაწილეობა; - ხილვადობა.

მომხრე-9. თავი შეიკავა - საბა ბუაძემ. ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გადატანა.

დღის წერიგით წარმოდგენილი მომდევნო საკითხები კომისიის წევრებს წარუდგინა ირაკლი თავართქილაძემ.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში ბერიგაბრიელ სალოსის გამზირზე,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 767 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.457) და 450 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.459) მიწის ნაკვეთების და ქ. თბილისში, ოქროყანას დასახლებაში არსებული 434 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.06.012.159) „მორიგების დამტკიცებისა და საქმის წარმოების შესახებ" თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 8 ივნისისN2ბ/348-22 განჩინებით დამტკიცებული მორიგების აქტის ნაწილობრივ აღსრულების მიზნით პრივატიზების თაობაზე"

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, 2022 წლის 2 მაისს შედგა მორიგების აქტი ერთის მხრივ, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და მეორეს მხრივ შპს „მარაგს" შორის, რომელიც დამტკიცდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 8 ივნისის N2ბ/348-22 განჩინებით. მორიგების აქტის შესაბამისად, შპს „მარაგი" თანხმობას აცხადებს მიიღოს 870 000 აშშ დოლარის ღირებულების მქონე უძრავი ქონება/ ქონებები ეტაპობრივად, ერთი წლის განმავლობაში. ამასთან კომპანია

უარს აცხადებს სასარჩელო მოთხოვნაზე და შემდგომ ნებისმიერ დავაზე მითითებულ საკითხთან დაკავშირებით. მორიგების აქტის ფარგლებში მუნიციპალიტეტმა აიღო ვალდებულება კომპანიის მიმართ, შეურჩიოს მას 870 000 აშშ დოლარის ღირებულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება/ ქონებები.
მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომპანიის მიერ მოთხოვნილ იქნა ქალაქ თბილისის ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 767 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.457) და 450 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.459) მიწის ნაკვეთები, რომელთა ღირებულებებმა სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად , 4 ივლისის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგინა 138 060 აშშ დოლარი და N01.17.14.001.459 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის 81 000 აშშ დოლარის ოდენობით.
ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ სსიპ- ქონების მართვის სააგენტოს მიერ დამატებით მოძიებულ იქნა ქალაქ თბილისში, ოქროყანას დასახლებაში არსებული 434 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.06.012.159), რომლის საბაზრო ღირებულებამაც სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად შეადგინა 95 480 აშშ დოლარი. კომპანია თანხმობას აცხადებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინების ნაწილობრივ აღსრულების მიზნით, საკუთრებაში მიიღოს ზემოთ აღნიშნული ქონებები და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ვალდებულება შესრულებულად ჩაითვალოს 314 აშშ დოლარი ოდენობით. შესაბამისად, შემდგომში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ შესასრულებელი ვალდებულება შპს „მარაგი"-ს მიმართ განისაზღვრება 555 460 აშშ დოლარი.

მომხრე-8 თავი შეიკავა - საბა ბუაძემ, ნინო წულაძემ. ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გადატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, III და IV მიკრორაიონებს შორის N01.10.07.007.104 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 19000 კვ. მ ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არომასთვის" (ს/ნ:245599990), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ"

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.tbilisi.gov.ge) საშუალებით გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა – რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, III და IV მიკრო/რაიონებს შორის - N01.10.07.007.104 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ფართობი: 19000 კვ. მ) პრივატიზება, მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა და აშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივის წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა , მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ. ინტერესთა გამოხატვის პირობების თანახმად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვრა არაუმეტეს 1.8-ით (ფუნქციური ზონა - საცხოვრებელი ზონა-5), ხოლო ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე სუბიექტების მიერ გადასაცემი ფართის მინიმალური შეთავაზება - 3 450 კვ.მ-თ.ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „არომა" (ს/კ: 245599990),რომლის მიერ წარმოდგენილი საინვესტიციო წინადადება - ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში განსახორციელებელი

სამშენებლო პროექტიდან სააგენტოსთვის / კოოპერატივის წევრებისთვის / სააგენტოს მიერ განსაზღვრული სხვა პირებისთვის გადასაცემი სამშენებლო ფართი - 9000 კვ. მ ოდენობით (თეთრი კარკასის მდგომარეობით) - უპირატესი იყო სხვა დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილ წინადადებებთან მიმართებით. ამასთან, კომპანიის მიერ წარმოდგენილი იყო ინტერესთა გამოხატვის პირობებით განსაზღვრული დოკუმენტაცია, მათ შორის, სააგენტოს სასარგებლოდ გაცემული უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია 2 000 000 (ორი მილიონი) ლარის ოდენობით.

ყოველივე ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, აღნიშნულის შესაბამისად, სააგენტომ განახორციელა სამშენებლო პროექტის ფარგლებში დასაკმაყოფილებლ პირთა სიის ფორმირება.

მოცემულ შემთხვევაში, განკარგულების დანართებში მითითებული კოოპერატივის წევრების სიის ფორმირება განხორციელდა სარეიტინგო ქულების გათვალისწინებით. კერძოდ, წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა კოოპერატივის იმ წევრების დაკმაყოფილება (119 პირი), რომელთაც, სიის ფორმირების ეტაპისათვის სააგენტოში წარდგენილი ჰქონდათ სრულყოფილი დოკუმენტაცია და სხვებთან შედარებით დაბალი სარეიტინგო ქულის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 31 იანვრის (საქმე N3/122-16; მოსარჩელე - ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა ,,ფეიქარი-629") კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზ. N70-ის მიმდებარედ, კორპ. N2, კორპ. N3 (ყოფილი ავჭალის გზატკეცილი N64), N01.12.01.005.137 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 3054 კვ. მ მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობა საკუთრებაში გადაეცა ბმა „ფეიქარი-629"-ს, რომელიც წარმოადგენს N629 კოოპერატივის უფლებამონაცვლეს. აღნიშნული მიწის ნაკვეთი, ბმა „ფეიქარი-629"-ის საკუთრებაში დარეგისტრირდა, როგორც N629 კოოპერატივისათვის გამოყოფილი ქონება. ამასთან, საჯარო რეესტრის 2020 წლის 13 ოქტომბრის N882020758225 ამონაწერის თანახმად, უფლების დამადასტურებელ დოკუმენტებად, გარდა ხსენებული სასამართლოს გადაწყვეტილებისა, მითითებულია ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 10 დეკემბრის N30.16.741 გადაწყვეტილება, რომლითაც კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებასთან შექმნილ საბინაო სამშენებლო კოოპერატივს, ორი 16 სართულიანი სახლის ასაშენებლად, ავჭალის გზატკეცილზე გამოეყო მიწის ნაკვეთი. რეგისტრაციის საფუძვლად, ასევე მითითებულია ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 4 მაისის N09.13.213 გადაწყვეტილება, რომლითაც დასტურდება, რომ საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და აბრეშუმის საფეიქრო სამკერვალო საწარმოო გაერთიანებასთან შეიქმნა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი რიგითი ნომრით 629. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ბმა „ფეიქარი-629"-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია წარმოადგენს აღნიშნული კოოპერატივის წინაშე ნაკისრი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარულად მიჩნევის წინაპირობას.

ირაკლი თავართქილაძის თქმით ვინაიდან, წარმოდგენილი განკარგულების დანართი N1-ის 21-ე და 43-ე პუნქტებით გათვალისწინებული N629 კოოპერატივის წევრებს: ლიანა მონიავას (პ.ნ: 01012018267) და ზურაბ მთიულიშვილს (პ.ნ: 01009002647) კოოპერატიული ბინათმშენებლობიდან გამომდინარე, საკუთრებაში აქვთ მიღებული უძრავი ქონება, მათ მიერ სააგენტოში წარმოდგენილი იქნა ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, რომლითაც, აღნიშნული პირები, ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, III და IV მიკრო/რაიონებს შორის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.07.007.104 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 19000 კვ. მ მიწის ნაკვეთიდან განსაზღვრული წილის საკუთრებაში მიღების სანაცვლოდ, მოგვიანებით, კომპანიის მიერ, ამავე მიწის ნაკვეთზე განვითარებულ სამშენებლო პროექტში შესაბამისი ფართის (საცხოვრებელი ბინა თეთრი კარკასის მდგომარეობით) მათთვის გადაცემის შესაძლებლობის გათვალისწინებით, უარს ამბობენ ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზ. N70-ის მიმდებარედ, კორპ. N2, კორპ. N3 (ყოფილი ავჭალის გზატკეცილი N64), N01.12.01.005.137 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 3054 კვ. მ მიწის ნაკვეთიდან (შენობა-ნაგებობიდან) მათ კუთვნილ წილზე და აღნიშნულ ქონებას კანონმდებლობით დადგენილი წესით, უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცემენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს.

მომხრე-10 ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გადატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კვგ ჯგუფს" (ს/ნ454409907) შორის, 2020 წლის 6 იანვარს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-499-5-24641 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის ნაწილობრივ გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კვგ ჯგუფს" (ს/ნ 454409907) შორის, 2020 წლის 6 იანვარს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-499-5-24641 ხელშეკრულები საფუძველზე, აუქციონის წესით, მყიდველს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა №20-ში მდებარე 8582 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1 ფართით 966.95 კვ.მ. (ს/კ: 01.17.09.006.023,). ქონების განკარგვა განხორციელდა შემდეგი სააუქციონო პირობით - „სამშენებლო განვითარება განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში, დაბალი ინტენსივობის განაშენიანებით".

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მყიდველმა განცხადებით მიმართა სააგენტოს და მოითხოვა ქონებაზე არსებული პირობის („დაბალი ინტენსივობის განაშენიანებით მშენებლობის") გაუქმება.

როგორც ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, მყიდველის მიერ დასმულ საკითხთან დაკავშირებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 22 ივნისის №16-01221733090 კორესპონდენციის თანახმად, მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.17.09.007.073 და 01.17.09.007.072) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 ივნისის №265 განკარგულებით შეთანხმებულია „ქ. თბილისში, შალვა მიშველაძის ქუჩა №18–ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი," რომლითაც საპროექტო ტერიტორიის დასაშვებ ფუნქციურ ზონად განისაზღვრა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ–6). შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ შესაძლებლად მიიჩნია ქონებაზე არსებული „დაბალი ინტენსივობის განაშენიანებით მშენებლობის" პირობის გაუქმება.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 27 ივნისის დასკვნის შესაბამისად, ქონების სრულ საპრივატიზებო საფასურსა (1 908 642 ლარი) და აუქციონის დროისათვის ამავე მიწის ნაკვეთის „დაბალი ინტენსივობის განაშენიანებით მშენებლობის" შეზღუდვისგან თავისუფალ მდგომარეობაში ღირებულებებს შორის სხვაობის დღევანდელი მდგომარეობით დაანგარიშებული თანხა შეადგენს 518 235 (ხუთას თვრამეტი ათას ორას ოცდათხუთმეტი) ლარს (აუქციონის დროისათვის სხვაობა - 375 006 ლარი). მყიდველმა თანხმობა განცხადა ქონებაზე „დაბალი ინტენსივობის განაშენიანებით მშენებლობის" პირობის გაუქმების შემთხვევაში, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით დადგენილი ფასთა შორის სხვაობის გადახდის თაობაზე.

აღნიშნული ცვლილება ხორციელდება იმ პირობით, რომ სააგენტოს მიერ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში მყიდველი უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 518 235 ლარის გადახდას.

მომხრე-7. თავი შეიკავა - ნინო წულაძემ და დავით ფარცვანიამ. ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გადატანა.

მოისმინეს: „თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 ოქტომბრის N3/2418-18 გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით განსახორციელებელ რიგ ღონისძიებათა

თაობაზე“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 6 ივლისის N22.1027.1125 განკარგულების ფარგლებში გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, თანხმობისათვის წარმოდგენილია „თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 ოქტომბრის N3/2418-18 გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით განსახორციელებელ რიგ ღონისძიებათა თაობაზე“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 6 ივლისის N22.1027.1125 განკარგულების ფარგლებში გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 2 აგვისტოს N22.1198.1289 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ინგოროყვას ქუჩა N19-ში, სადარბაზო 1, სართული 7, ბინა N9ა-ში არსებული 80.03 კვ.მ ფართის (ს/კ: 01.15.05.050.005.01.009ა) ნიკოლოზ კახეთელიძისათვის (პ/ნ: N01011003792) საკუთრებაში გადაცემის საკითხი წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

მომხრე-8 თავი შეიკავა - ნინო წულაძემ და დავით ფარცვანიამ. ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გადატანა.

მოისმინეს: ქ. თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე, დ. აღმაშენებლის გამზ. N86-90-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 634 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ტერიტორიიდან (ს/კ: 01.16.05.002.035) 16 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ტამტამისთვის“ (ს/ნ: 406348590) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, შპს „ტამტამის“ (ს/ნ: 406348590) წარმომადგენელმა, განცხადებებით მომართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ. თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე, დ. აღმაშენებლის გამზ. N86-90-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 634 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ტერიტორიიდან (ს/კ: 01.16.05.002.035) 16 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად, 2026 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით. აღნიშნული კომპანია იჯარით ფლობს მიმდებარე შენობაში არსებულ უძრავ ქონებას (ს/კ: 01.16.05.002.007.01.522), 5 წლის ვადით, უძრავი ქონების მესაკუთრესთან 2021 წლის 3 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით.

მომხსენებლის განმარტებით, მოთხოვნილ ტერიტორიაზე განცხადებით წარმოდგენილი სახის, ღია კაფეს მოწყობასთან დაკავშირებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილით, სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ქ. თბილისის მერიაში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 16.06.22წ. გადაწყვეტილება , რომლითაც უარი ეთქვა ღია კაფესთვის მოთხოვნილი 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით განკარგვის საკითხს, შემდეგი რეკომენდაციით: განთავსდეს მხოლოდ მსუბუქი დიზაინის მაგიდები და სკამები შემოზღუდვის გარეშე. სააგენტომ, წერილით აცნობა კომპანიას საბჭოს გადაწყვეტილება და სთხოვა პოზიცია მის რეკომენდაციასთან დაკავშირებით. კომპანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კომპანია ითვალისწინებს საბჭოს გადაწყვეტილებას და მზადყოფნა გამოთქვა, საბჭოს რეკომენდაციების შესაბამისად შეასწოროს ღია კაფეს დიზაინი. ამასთან, იმ მიზნით, რომ იჯარით გადაცემის პროცესი არ შეფერხდეს, დიზაინის ცვლილებას და შესაბამისად არქიტიტეტურის სამსახურთან ან/და ნებისმიერ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დიზაინის შეთანხმებას, კომპანია უზრუნველყოფს იჯარის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის იჯარით გადაცემის საკითხი, 2026 წლის 1 დეკემბრამდე ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 2880 ლარის ოდენობით.

მომხრე-10. ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გადატანა.

მოისმინეს: ქ. თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე, დ. აღმაშენებლის გამზ. N86-90-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 634 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ტერიტორიიდან (ს/კ: 01.16.05.002.035) 9 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბ&რ ჯორჯიასთვის" (ს/ნ: 402179771) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, შპს „ბ&რ ჯორჯიას" (ს/ნ: 402179771) წარმომადგენელმა, მომართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ. თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე, დ. აღმაშენებლის გამზ. N86-90-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 634 კვ.მ. ტერიტორიიდან (ს/კ: 01.16.05.002.035) 9 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად, 3 წლის ვადით. აღნიშნული კომპანია ქირავნობის უფლებით ფლობს მიმდებარე შენობაში არსებულ უძრავ ქონებას (ს/კ: 01.16.05.002.007.01.531), 2025 წლის 31 მარტამდე.

მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს მოწყობასთან დაკავშირებით, დაკავშირებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილით სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ქ. თბილისის მერიაში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილება , რომლითაც დადებითი შეფასება მიეცა ღია კაფესთვის მოთხოვნილი 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით განკარგვის საკითხს, შემდეგი რეკომენდაციით: განთვსდეს მხოლოდ მაგიდები და სკამები შემომზღუდავი ქოთნების და სარეკლამო აბრის გარეშე. კომპანიის წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილ იქნა თანხმობა ამ რეკომენდაციის მიღებაზე.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის იჯარით გადაცემის საკითხი, 2025 წლის 31 მარტამდე, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 1620 ლარის ოდენობით.

მომხრე-10. ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გადატანა.

მოისმინეს: ქ. თბილისში, მედეა ჯუღელის ქ. N10-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (ს/კ: 01.15.03.010.218; 01.15.03.010.219) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერისთვის" (ს/ნ: 203826002) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" (ს/ნ: 203826002) წარმომადგენელმა, მომართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა მედეა ჯუღელის ქ. N10-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (ს/კ: 01.15.03.010.218; 01.15.03.010.219) მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის იჯარით გადაცემა, შემდეგი მიზნობრიობით: 01.15.03.010.218 საკადასტრო ერთეული - პანდუსის განთავსების მიზნით; 01.15.03.010.219 საკადასტრო ერთეული - ველოსიპედების სადგომის განთავსების მიზნით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს" მიმდებარედ არსებულ N01.15.03.010.005 საკადასტრო ერთეულში, საკუთრებაში აქვს ფართები.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილით, სააგენტოში წარმოდგენილი იქნა ქ. თბილისის მერიაში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილება , რომლითაც დადებითი შეფასება მიეცა მოთხოვნილი მიწის ნაკვეთების იჯარით განკარგვის საკითხს, პანდუსის და ველოსიპედების სადგომის მოწყობის მიზნით.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი მიწის ნაკვეთების კომპანიისთვის იჯარით გადაცემის საკითხი, 5 წლით, საერთო წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 1920 (ათას ცხრაას ოცი) ლარის ოდენობით.

მომხრე-10. ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გადატანა.

მოისმინეს: ქ. თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N89-ში მდებარე სპორტული მოედნის მიმდებარედ არსებული 1095 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.11.05.027.008) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქართველოს რაგბის კავშირის (ს/ნ: 204874911) აღმასრულებელმა დირექტორმა, წერილით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და ითხოვა ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N89-ში მდებარე სპორტული მოედნის მიმდებარედ არსებული 1095 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.11.05.027.008) საკუთრებაში გადაცემა. აღსანიშნავია, რომ N01.11.05.027.011, N01.11.05.027.009, N01.11.05.027.003, N01.11.05.027.010 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე განთავსებულია ავჭალის სარაგბო ბაზა და დაინტერესებაში არსებული N01.11.05.027.008 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიც წარმოადგენს აღნიშნული სარაგბო ბაზის შემადგენელ ნაწილს, აღნიშნული მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის გარეშე შეუძლებელია მიმდებარედ არსებული N01.11.05.027.011, N01.11.05.027.009, N01.11.05.027.003, N01.11.05.027.010, 01.11.05.027.008 საკადასტრო კოდების გაერთიანება და ექსპლუატაციაში მიღება.

წარმოდგენილია შესათანხმებლად, ზემოაღნიშნული ქონების საკუთრებაში გადაცემის საკითხი და მასთან დასადები შესაბამისი ხელშეკრულების პროექტი განკარგულების დანართის შესაბამისად.

მომხრე-10. ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გადატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.020.01.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.020.01.017) მდებარე უძრავი ქონება 78,33 კვმ ფართი პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, გადაეცემა მოქალაქე ნუგზარ კეკენაძეს (პ/ნ 010010951701), რომელიც ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობს აღნიშნულ ფართში.

მომხრე-10. ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გადატანა.

მოისმინეს: ქ. თბილისში, დიღმის მასივში, III კვარტალში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: 01.13.03.038.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავაეთქილაძის მოხსენებით, ააიპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (ს/ნ: 201990079) გენერალურმა მდივანმა, წერილით მომართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და ითხოვა ქ. თბილისში, დიღმის მასივში, III კვარტალში მდებარე 13039 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.13.03.038.004) ფედერაციისთვის საკუთრებაში გადაცემა, ტერიტორიაზე თანამედროვე საფეხბურთო ცენტრის მშენებლობისთვის.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ფედერაცია ახდენს საფეხბურთო მოედნების და ინფრასტრუქტურის მოწყობას საქართველოს არაერთ ქალაქსა თუ სოფელში, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ფეხბურთის პოპულარიზაციას საშუალებას აძლევს საფეხბურთო სკოლებს და ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე კლუბებს, გამართულ და სრულად მოწყობილ მოედნებზე ჩაატარონ სავარჯიშო პროცესი და კალენდარული მატჩები. დიღმის მასივში დაგეგმილი საფეხბურთო ცენტრის მშენებლობის პროექტის სრულფასოვნად განხორციელებისთვის, ფედერაციამ ითხოვა აღნიშნული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, წარმოდგენილია ასევე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დადებითი პოზიცია.
ირაკლი თავარტქილაძემ განმარტა, რომ მოთხოვნილ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: ეს უძრავი ქონება, როგორც სპორტული ობიექტი, წარმოადგენდა კერძო საკუთრებას, რომელიც შემდგომში მიიღო საკუთრებაში სახელმწიფომ. ამ უძრავ ქონებაზე სპორტული ობიექტის შენარჩუნებით დაინტერესებული იყო თბილისის მერია და მუნიციპალურ საკუთრებაში მის გადმოცემასთან დაკავშირებით შესაბამისი პოზიციაც წარედგინა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, ქ. თბილისის მერის წერილით. წერილში აღინიშნა, რომ უძრავი ქონების ტერიტორიაზე სპორტული ინფრასტრუქტურის და სპორტული მიმართულებით განვითარების მიზნით, თბილისის მერია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფდა შესაბამის ღონისძიებებს, მისი მუნიციპალურ საკუთრებაში გადმოცემის შემთხვევაში.
განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის სიმბოლურ ფასად - 1 ლარად საკუთრებაში გადაცემას, საპრივატიზებო პირობით: პრივატიზებული მიწის ნაკვეთის განვითარება და ფუნქციონირება სპორტული დანიშნულებით.
მომხრე-10. ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გადატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ჰოსპიტლის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე
ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით ისნის რაიონის გამგეობის შუამდგომლობით, ქალაქ თბილისში, ჰოსპიტლის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონება, საერთო ჯამში - 571.20 კვ.მ ფართობის უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა 11 ოჯახს, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ფლობენ აღნიშნულ ფართებს.
მომხრე-10. ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გადატანა.
მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ჰოსპიტლის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე
ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ისნის რაიონის გამგეობამ იშუამდგომლა ქალაქ თბილისში, ჰოსპიტლის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, 5 ოჯახისთვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ. კერძოდ, აღნიშნულ პირებს დაკავებული აქვთ შემდეგი ფართები: ივეტა შარია - 25.40 კვ.მ, ბელა ბაგალიშვილი - 55.28 კვ.მ, როლეტა ნაჭყებია - 70.71 კვ.მ, გურგენ სესიტაშვილი - 42.03 კვ.მ და ქეთევან კობახიძე - 81.24 კვ.მ. მოქალაქეები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. მითითებულ მოქალაქეებს საერთო ჯამში გადაეცემათ - 274.66 კვ.მ ფართობის უძრავი ქონება.
მომხრე-10. ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გადატანა.
მოისმინეს: ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N61-ში მდებარე 120.15 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.047.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე
ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ისნის რაიონის გამგეობის შუამდგომლობით, ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N61, 1 სართულზე მდებარე 120.15 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.047.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე მალხაზ გვაჯავას (პ/ნ: 01004004007).

მოქალაქე მალხაზ გვაჯავა ხანგრძლივი დროის განმავლობაში, 2004 წლიდან ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

მომხრე-10. ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გადატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა N29-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.003.034) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, სამგორის რაიონის გამგეობის შუამდგომლობით, ქალაქ თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა N29-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.003.034) მდებარე უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები საკუთრებაში გადაეცემა 2 პირს(ოჯახს) ჯამში 151,28 კვმ ფართი. აღნიშნული პირები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ ამ უძრავი ქონებით.

მომხრე-10. ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გადატანა.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ხელაძე